# ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

## ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 145

ქალაქი ქუთაისი 30 ნოემბერი 2022 წელი

ევროკავშირისგან გრანტის მიღების თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის, იოსებ ხახალეიშვილისათვის თანხმობის მიცემის შ ე ს ა ხ ე ბ

ქალაქ ქუთაისის მიუნიციპალიტეტის საკრებულო აღნიშნავს, რომ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში გარკვეული პროექტების განსახორციელებლად ევროკავშირი თანახმაა გამოყოს გრანტი 769 279 (შვიდას სამოცდაცხრა ათას ორას სამოცდაცხრამეტი) ევროს ოდენობით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-100 მუხლის მე-5 და მე-7 პუნქტებისა და საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 სექტემბრის N1990 განკარგულების საფუძველზე:

**მუხლი** 1. მიეცეს თანხმობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს, იოსებ ხახალეიშვილს, ევროკავშირისგან ფულადი დახმარების პროექტის ფარგლებში, მიიღოს 769 279 (შვიდას სამოცდაცხრა ათას ორას სამოცდაცხრამეტი) ევროს ოდენობის გრანტი და გააფორმოს საგრანტო ხელშეკრულება.

**მუხლი** 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა N11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

**მუხლი** 3. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შენგელია

საქართველო ქ. ქუთაისის საკრებულო
გას. №-235
30-11-2022 წ.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
საერთო